ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 5 1883—1902 1—15 მარტი

ბლაღოჩინების პირველი კრება ქ. ქუთაისში, 6 მარტს 1902 წ.

როგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა, მათმა მეუფემ იმერეთის ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელომ ლეონიდმა 6 მარტისათვის დაიბარა იმერეთის ეპარქიის ყველა ბლაღოჩინები ქ. ქუთაისში, გარდა ერთი სვანეთის ბლაღოჩინისა, რადგან გზა შეკრულია სვანეთის მთებში. ბლაღოჩინების შეკრების უმთავრესი საგანი იყო: ზომების მიღება საეპარქიო სანთლის ქარხნის მდგომარეობის გაუმჯობესობისა და სანთლის ვაჭრობის ეპარქიაში უმეტესად გავრცელებისათვის.

ეს კრება ბლაღოჩინებისა იმერეთის ეპარქიაში პირველია. ყველა დიდის სიამოვნებით მიეგება მღვდელ-მთავრის ასეთ განკარგულებას. ღმერთმან ინებოს, რომ ამგვარი კრება ხშირად მომხდარიყოს შემდეგშიაც საკეთილ-დღეოდ საზოგადოებისა და სასარგებლოდ ეკკლესიისა.

უკანასკნელმა სამღვდელოების კრებამ აირჩია კომიტეტი, რომელსაც მიანდო შემუშავება სანთლის ქარხნის წეს-წყობილებისა და საზოგადოდ სანთლის ვაჭრობის საქმის გავრცელებისა. ამ კომიტეტს ერთად მათი მეუფების თავსმჯდომარეობით უნდა ეხმარათ სხვა-და-სხვა ზომებ. და საშუალებანი წმინდა სანთლის ვაჭრობის გავრცელებისათვის. კომიტეტს ჰქონდა კრება თებერვლის 8-ს. პირველ სხდომაზედვე კომიტეტმა საუმჯობესოდ დაინახა სანთლის ვაჭრობის გასავრცელებლად ბლაღოჩინები გახადონ ვალდებულად; თვითეული თავისი საბლაღოჩინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკკლესიებისათვის ნახევარი წლის საყოფი დამზადებული სანთელი წაიღონ და მასთან ჯეროვანი ყურადღება მიაქცეონ, რომ ყოველს ეკკლესიაში რიგიანად წარმოებდეს მისი ვაჭრობა და ყველას შეეძლოს ყოველ გვარი სანთლის მოპოება თავისავე ეკკლესიაში. ამისათვის საჭიროდ დაინახა კომიტეტმა ბლაღოჩინები მოეწვიათ ზემო აღნიშნულ მოსაზრებათა სისრულეში მოყვანისათვის. კრება ბლაღოჩინებისა, როგორც ზემოთ ვსთქვით, 6 მარტისათვის იყო დანიშნული. ამ დღეს, დილის ათ საათზე, თითქმის ყველა ბლაღოჩინები შეიკრიბნენ მათი მეუფების სასახლეში. კრება გაიხსნა მათი მეუფების თავსმჯდომარეობით თერთმეტის 20 წამზე დილით. მათმა მეუფებამ მიმართა ბლაღოჩინების კრებას მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვით, რომელშიაც განუმარტა კრებას მიზეზი მათის მოწვევისა, დიდი მნიშვნელობა სანთლის ქარხნებისა საზოგადოდ, და ჩვენში განსაკუთრებით, არა სანატრელი მდგომარეობა ჩვენი სანთლის ქარხნისა და სანთლის საქმის წარმოებისა. დაწვრილებით მოიყვანა ის საჭირო მოსაზრებანი და საშუალებანი, რომელთა აღსრულებით სანთლის ქარხანა უმეტეს სარგებლობას მოიტანს, ვინემ დღეს მოაქვს.

„მწყემსის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 1897 წელში, ერთ სამღვდელოების კრებაზე მიღებულ იქმნა დეკ. დ. ღამბაშიძისაგან შედგენილი წესდება იმერეთის სანთლის ქარხნის საქმის წარმოებასა და მმართვა-გამგეობაზე. კრებისაგან მოწონებული წესდება დამტკიცებული იყო მღვდელ-მთავრისაგანაც. მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა-და-სხვა უსაფუძვლო და უადგილო მიზეზთა გამო ხელი შეუშალეს კომიტეტს, რომ ეს წესდება მთლად სისრულეში მოეყვანა. გარნა მაშინდელმა კომიტეტმა იმდენი მაინც ითავა, რომ “პოდრიადულის“ წესით სანთლის დამზადება მოსპო. მოხსენებულის წესდებულებით, მიუცილებლად ითხოვებოდა, რომ სანთლის ქარხანაში ზედამხედველი ყოფილიყო და იმის მუდმივ ზედამხედველობის ქვეშ წარმოებულიყო ოსტატისა და ყველა მუშებისაგან სანთლის დამზადება. გარეშე პირის კანტრაგენტობა უარყოფილი იყო. როგორც წინეთ, ისე ამ ბლაღოჩინების კრებაზედ მამა ი. ჭეიშვილი წინააღმდეგი იყო სანთლის ქარხანაში ზედამხედველის დანიშვნისა. „თუ ჩვენ კანტრაგენტთან, ამბობდა იგი, საქმე არ დავიჭირეთ და სანთლის ზედამხედველს დავენდვეთ, მაშინ ყოველივე ღონეს იხმარს ოსტატი და რაიმე ყალბ ნივთს შეურევს სანთელს გადადნობის და ჩამოსხმის დროს; თუ ოსტატი, როგორც ღამბაშიძეს სურს, მუდმივი ჯამაგირით იქმნა დაყენებული, მარტო ოსტატის დაქირავება სამღვდელოებას დაუჯდება ათას-ექვსას მანეთად. ან რომელი მღვდელი დადგება 600 მანეთად სანთლის ქარხანაში?..“ და სხვ...

ერთი სიტყვით, დეკ. ჭეიშვილის აზრით, ყოვლად შეუძლებელი საქმეა, სანთლის ქარხანაში ვინმე კეთილ-საიმედო სასულიერო პირი იშოვოს სამღვდელოებამ 600 მ. და ან ხელირიანი ოსტატი დაიქირაოს, რადგან რიგიან ოსტატს 1600 მ. ნაკლებ ვერ იშოვიანო! სწორედ გასაკვირველია ასეთი უსაფუძვლო მსჯელობა. გასაკვირველია, თუ მკანტრახტე, ე. ი. „პოდრიადჩიკი“ იშოვის სანდო ოსტატს, ნუ თუ მღვდელთ-მგანი არავინ იქნება სანდო და ან ქარხნის ზედამხედველი ვერ მოახერხებს ოსტატის და მუშების დაქირავებას?..

მამა იოსებ ჭეიშვილის მოსაზრებათა წინააღმდეგ, დეკ. ღამბაშიძემ განაცხადა შემდეგი: „ძლიერ გასაკვირველია ზოგიერთების მსჯელობა სანთლის ქარხნის მმართვა-გამგეობის შესახებ. მე ვერ ამიხსნია ზოგიერთების დაჟინება—„პოდრიადჩიკობის“ წესით სანთლის დამზადებისა. რომ ვინმე იისრებდეს სანთლის ყიდვას, დამზადებას და დამზადებული სანთლის ჩაბარებას რამდენსაც მოვსთხოვთ, რასაკვირველია ჯეროვანი შემოწმებისამებრ, —მაშინ მეც არას ვიტყოდი. მაგრამ ამას არავინ არ კისრულობს. სამღვდელოებამ უნდა უყიდოს სანთელი, და ყოველივე მასალა რაც საჭიროა; სამღვდელოებამ უნდა მისცეს ბინა და სხვ. „პოდრიადჩიკს“. ამ უკანასკნელმა უნდა დაიყენოს ოსტატი, დაამზადებინოს სანთელი და ჩაგვაბაროს. ნუ თუ სამღვდელოებას თვითონ არ შეუძლია ეს მოახერხოს? რა საჭიროა სამღვდელოებამ შუამდგომლად პოდრიადჩიკი ანუ მოკანტრახტე დაიყენოს —ვინც უნდა იყოს იგი? მამა იოსებ ჭეიშვილმა ბრძანა, რომ ძლიერ ძვირად დაგვიჯდება სანთლის ოსტატის დაქირავებაო. ერთი ვიკითხოთ ვინ არის დღეს ქარხანაში სანთლის ოსტატი ფურცხვანიძის სიკვდილის შემდეგ? რას აძლევდა მას ფურცხვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რას აძლევს დღევანდელი „პოდრიადჩიკი“ ბოლქვაძე? უსაფუძვლოა ზოგიერთების შიში, ვითომც სანთლის დამზადება თვითონ სამღვდელოებას ძვირად დაუჯდება. ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ რაღაც შვიდასი, თუ შვიდას ორმოც და-ათი ფუთის სანთლის დამზადება სამღვდელოებას უჯდება სამი ათას მანეთზედ მეტი. მართვა-გამგეობის ხარჯი სულ სხვა არის კიდევ. გაბედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დღევანდელზე მეტი ხარჯი არ იქნება სანთლის ქარხანაში, რომ ზედამხედველი ვიყოლიოთ და ჯამაგირით დაჭერილი ოსტატიც გვყავდეს. ამასთან სანთელიც ბევრად უმჯობესი გვექმნება. მოგება რომ არ რჩებოდესთ, განა ეს მოკანტრახტენი ზარალით იმუშავებდენ ჩვენს ქარხანაში? დღევანდელი კომიტეტი სამ გირვანქა სანთელს აძლევს ფუთზე ზედ მეტს მოკანტრახტეს და ნამუშევზე ხუთ გირვანქას, რომელიც წლიურად შეადგენს არა ნაკლებ 1500 მანეთისა. ძველი კომიტეტი ბევრად ნაკლებს აძლევდა ოსტატს. რბგიანი მმართველის ხელში, 750 მანეთით მოგებული დავრჩებით მარტო „სკიდკით“. მამა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ სანთელს ბევრი ჭუჭყი აქვსო, მაგრამ რად ყიდულობს იგი ჭუჭყიან სანთელს?“

გამოანგარიშებულ იქმნა ხარჯი ქარხნის ზედამხედველისა 600 მანეთი წელიწადში ბინით და ოსტატი 40 მ. ჯამაგირით. აგრეთვე გამოანგარიშებული იყო მუშების, შეშის, ნახშირის და სხვა წვრილმანი ხარჯები და დღევანდელ ხარჯზე თითქმის 1000 მანეთით ნაკლები გამოვიდა. ზოგიერთები მაინც კიდევ იმას ბრძანებდნენ, რომ «პოდრიადჩიკობა» სჯობსო. მათმა მეუფებამ ბრძანა:

„როგორც აქ გამოირკვა, დღეს ოსტატი სანთლის ქარხანაში არავინ ყოფილა! ოსტატის ადგილზე დღეს კონტრაგენტს ყოლებია დაქირავებული ის მუშა, რომელსაც წინანდელი გარდაცვალებული ოსტატი აძლევდა შვიდ-რვა მანეთს. ეს კაცი ყოფილა დღეს ჩვენი ქარხნის ოსტატი! თუ კი ჩვენი მოკანტრახტე ქირაობს მას და საქმეს აკეთებინებს, ნუ თუ სამღვდელოებას არ შეუძლია თავისი ზედამხედველი იყოლიოს ქარხანაში და ამ ზედამხედველს გააკეთებინოს სანთელი? არა, აქ რაღაც უადგილო შიში უნდა იყოს. ჩვენ ყველაფერი ვიანგარიშეთ, ვარაუდით მეტი თუ ჩავაგდეთ თორემ ნაკლები არა. ამ ანგარიშით, ათასი მანეთი თითქმის ნაკლები ხარჯი ითხოვება. მიუცილებლად საჭიროა სანთლის ქარხანაში ზედამხედველი იყოს, რასაკვირველია სანდო პირთაგანი. ეპარქიის სანთლის ქარხნის ერთი უმთავრესი ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომ ქარხანას დღემდის ვერ შეუძენია იმდენი თავისუფალი თანხა, ოთხასი ფუთი სანთლის ცვილი იყიდოს და დაამზადოს. იყიდდენ ას ფუთს, დაამზადებდენ, გაიყიდებოდა და ამ ფულებით კიდევ ხელახლა იყიდდენ მეორე ას ფუთს და ასე უწარმოებიათ საქმე. წინაპირველად უსესხნიათ რამდენიმე ათასი მანეთი და ძლივს-ძლიობით გაუსტუმრებიათ. დღემდის ქარხანას კარგა ბლომად თავისუფალი თანხა უნდა ჰქონდეს, მაგრამ სად არის? ფული როგორც შემოსულა, მაშინვე უხარჯავსთ სათადარიგო თანხის შესადგენად არც ერთი მანეთი არ გადაუდვიათ; ამ გვარად, რასაკვირველია, თავისუფალი თანხა არ შეგროვდებოდა. დღეს მაინც უნდა მოვიფიქროთ და მოვაგვაროთ საქმე როგორმე, რომ ქარხანას თავისუფალი თანხა ჰქონდეს სანთლის წინდაწინ დამზადებისათვის. ეს ფულები ან ვისესხოთ და ან ისევე ეკკლესიებიდან შეიკრიბოს“.

მათმა მეუფების სიტყვამ ყველანი დააფიქრა. მართლაც, თუ სანთლის ქარხანას თავისუფალი თანხა არ ექნა, ისე დიდ სარგებლობას ვერ მოიტანს. მომხდარა ხანდახან, რომ სანთელი ვერ უშოვიათ და ეს ხომ საქმეს ძალიან დააბრკოლებს. ფულის სესხებაც მოუხერხებლად დაინახა კრებამ. სხვა და-სხვა ცნობების შეკრებიდან აღმოჩნდა, რომ განსვენებულს ყოვლად სამღვდელო გაბრიელს სანთლის ვაჭრობის გასავრცელებლად სტაროსტებისათვის დაუნიშნავს ორ-ორი შაური თითო გირვანქა სანთელზე შრომისა და ხარჯის ფასად. მაგრამ სტაროსტები თვითონ იძლეოდენ ამ ფულს ოღონდ განეთავისუფლებიათ იგინი სანთლის მოტანისაგან. სტაროსტები ხშირად 5—10 გირვანქა სანთელს ყიდულობენ ხოლმე და ვინ წავა მანეთად და ათ შაურად ლეჩხუმიდან, ონიდან და საჩხერიდან ქუთაისში?

დღემდის სანთლის ქარხნის გამგეობამ სრულებით არ იცოდა, თუ რომელ ეკკლესიას რამდენ სანთელი მიჰქონდა მთელს ეპარქიაში; ბლაღოჩინმაც არ იცოდა ზოგან, თუ სად ყიდულობდა სანთელს სტაროსტა.

კრებამ მიიღო რა სახეში ყველა ცნობები სანთლის ქარხანაზე სანთლის ვაჭრობის საქმის შესახებ და გარდასწყვიტა: შეიკრიბოს თვითეული ეპარქიის ეკლესიებიდან ათ-ათი მანეთი, რომელიც შეადგენს 5000 მანეთს. ამ ფულებს დაემატოს ის ფულები, რომელიც შემოვა დამზადებული 300 ფუთის სანთლისაგან, ე. ი. 12 ათასი მანეთი. 5 ათასი მანეთი შეიკრიბოს ეკლესიებიდან მარტის დამლევამდისინ. ღარიბმა ეკლესიებმა ისესხონ შეძლებული ეკლესიებიდან იმ პირობით, რომ ყველა ეკლესიებს სამი წლის შემდეგ დაებრუნოს სანთლის ქარხნიდან თავნი კანონიერი სარგებლით. ყველა ბლაღოჩინებმა თავიანთ საბლაღოჩინო ეკლესიებთათვის წაიღონ ივლისის თვიდან მიმდინარე წლისა—ნახევარი წლის საყოფი ჩამოსხმული სანთელი და დაურიგონ სტაროსტებს. დაევალოს ბლაღოჩინებს, რომ ფიცხელი ყურადღება იქონიონ ეკლესიებში სანთლის რიგიანად ვაჭრობაზე და ყოველივე ზომა იხმარონ ყალბი სანთლების ხმარება და მალულად ვაჭრობა მათი მოსპონ სამრევლოებში. ხარჯისა და შრომისათვის ბლაღოჩინებს დაენიშნოს თითო გირვანქა სანთელზე ორი შაური.

ამა წლის პირველი ივლისიდან სათლის წარმოგების საქმე სხვა რიგად იქნება მოგვარებული. დღემდის ისე ყიდულობდა ზოგან სტაროსტა სანთელს, რომ მღვდელმა არ იცოდა, ხშირად მღვდელიც ისე ყიდულობდა სანთელს, რომ სტაროსტა ვერ შეიტყობდა. დღეს ვალად ედგინება ეკლესიის ყველა კრებულის წევრთ სტაროსტასთან ერთად შეადგინონ სია, თუ რამდენი და როგორი ხარისხის სანთელი დასჭირდებათ ნახევარი წლის განმავალობაში. ბლაღოჩინები შეკრებენ ამ უწყებებს ყველა ეკლესიებისაგან და მასთან იგინი შეკრებენ აღნიშნული სანთლის სასყიდლად საჭირო ფულებს. ფულებს უწყებებითურთ ბლაღოჩინი შეკრებისათანავე დაუყოვნებლად წარუდგენს სანთლის ქარხნის გამგე კომიტეტს. კომიტეტი უწყებათა მიღებისათანავე, სათითეულოდ ყოველ ეკლესიას დაუმზადებს მოთხოვნილს სანთელს; ცალკე ახვევს თითო ეკლესიისას და ბეჭდავს ქარხნის ბეჭედით. ეს სანთელი მიაქვს ბლაღოჩინს თავის ხარჯით და ურიგებს სტაროსტებს. მიღებულია სახეში, რომ ყოველგან იყოს ეკლესიაში ყველა ფასის სანთელი. ბლაღოჩინებს ენიშნება 10 კაპ., სწორედ იმდენი, რამოდენიც სტაროსტებს ჰქონდათ დანიშნული გირვანქა სანთელზედ.

ბლაღოჩინი თუ მაცარ ყურადღებას მიაქცევს ეკლესიებში სანთლის გასყიდვის საქმეს, ორი შაური, რომელიც დანიშნულია მოტანის და ხარჯების ფასად, სრულებით არ მოაკლდება სანთლის წმინდა მოგებას. დღემდის სტაროსტები, ვსთქვათ მაგალითად, ყიდულობდენ ათ გირვანქა სანთელს. ათ მანეთზედ ათ მანეთ მოგებას აჩვენებდენ და ამით სანთლის ანგარიში კანონიერად და რიგიანად იყო მიმჩნეული. არავინ არ ითხოვდა მანეთზე მეტ მოგებას; გარნა შემოსავალი მეტი უნდა იყოს. კაპეიკიანი სანთელი ხშირად ერთ გირვანქაში 215 და 220 არის; შაურიანი სანთელი ორმოცდა-ოთხი გამოდის. ამ უკანასკნელ დროს შაურიანი სანთელი გირვანქაში გამოდიოდა 48 ღერი და ასე სხვა. მართალია სანთლის ღერობით დათვლა ნაბრძანები იყო, მაგრამ ეს ძნელი ასასრულებელია იქ, სადაც სანთელი რამდენიმე ფუთობით იყიდება. ბევრი ეკლესიები დღემდის ხშირად უსანთლოდ რჩებოდენ; დღეის შემდეგ კი ყოველ ეკლესიებში საკმაო სანთელი იქნება. ეს, რასაკვირველია, გაავრცელებს სანთლის ვაჭრობას და მეტს სარგებლობას მისცემს სანთლის ქარხანას ჯ ეკლესიებს. მართალია, პირველ შემთხვევაში ძლიერ გაუძნელდება ღარიბ ეკლესიას ერთბაშად ნახევარი წლის საჭირო სანთლის სყიდვა, მაგრამ კრებამ გარდასწყვიტა, რომ ხმარებულ იქმნეს ყოველი ღონე შესაგროვებლად ყველა ეკლესიებში საჭირო თანხისა სანთლის სასყიდლად და ეს თანხა ყოველ-თვის თავისუფალი იქნეს დახარჯვისაგან. საზოგადოდ კრებამ ბევრი ნაკლულევანება და უწესობა აღმოაჩინა სანთლის ვაჭრობის შესახებ სოფლის ეკლესიებში და იმედია, რომ ეს ნაკლულევანება და უწესოება მოისპობა ამიერიდგან.

კრება გაგრძელდა საღამოის ოთხ საათამდე და გარდაიდვა საღამოის ექვს საათისათვის.

დამსწრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომის თაფლობა.

ჩვენი ქვეყანა როგორც სხვა მხრივ, ისე მეფუტკრეობაშიაც თავისებურია. საზოგადო თვისებებთან ერთად აქ მრავალი საკუთარი თვისებაც აქვს როგორც ფუტკარს, ისე თაფლს. არის მაღალი ხარისხის სხვა და სხვა ჯიშის თაფლი, არის დაბალი ხარისხისაც და, სამწუხაროდ ჩვენდა, არის ისეთიც (მაწყინარი), რომელიც სრულებით უკარგავს სახელს ჩვენ თაფლს და უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ჩვენი ქვეყნის მეფუტკრეს. ამისათვის აქაურ მეფუტკრეს შედარებით მეტი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, რომ მეფუტკრეობისაგან რიგიანი სარგებლობა ნახოს. თვითეული ამგვარ გარემოებაში მყოფი მეფუტკრე უნდა ცდილობდეს იხმაროს ყოველგვარი საშუალება, რომ კარგი ღირსების თაფლი გახადოს ადამიანის სახმარად და ცუდი ღირსებისა კი—მარტო ფუტკრის საკვებად. ერთს ამგვარს და საუკეთესო საშუალებას ჩვენი ქვეყნის მრავალი ადგილებისათვის შეადგენს შემოდგომის თაფლით სარგებლობა.

შემოდგომაზე ცოტად თუ ბევრად ყველგან მატულობს თაფლობა, მაგრამ ამას აქვს მნიშვნელობა ზამთრის პირზე ახალი ფუტკრის გამოტეხისა და საზოგადოდ ნაყრების საზამთროდ მოღონიერებისათვის; რაც შეეხება მდიდრულ თაფლობას, ეს შემოდგომაზე საზოგადოდ ძვირათაა და ბუნებას მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ მხარისათვის ურგუნებია. არის შემოდგომის თაფლით იმისთანა მდიდარი ადგილები, რომ სუსტი ნაყარი ღონიერდება ფუტკრით, თითქმის როგორც გაზაფხულზე და უთაფლო სკები ივსება თაფლით და ახალი ფიჭით. ამის დასამტკიცებლად მე, სხვათა შორის, შემიძლია მოვიყვანო ერთი შემთხვევა, ჩემგან აწერილი „მეფუტკრეობის ფურცელში“. 1892 წლის 24 სექტემბერს ჩემს საფუტკრეზე (სოფელ შროშას) ეყარა ერთ ძირ ფუტკარს და ნაყარი მიხვეოდა დერეფნის ჭერზე, გარეთ. მე მაცნობეს მეორე დღეს. ვნახე, რომ ჭერზე მიხვეულ ნაყარს უკვე ფიჭების კეთება დაეწყო; თავი დავანებე, მინდოდა გამომეცადა, თუ რას იზამდნენ. მეოთხე დღემდის ხუთი ფიჭა ჩამოაშენეს რამოდენიმე გოჯის სიგრძეზე. ამ დღეს ჩავსვი ის გასაშალ სკაში და ჩაუდგი ორი ცარიელი ფიჭა და აგრეთვე ჩარჩოები ფიჭის დასაწყებ სათავეებით. ალივებამდის ნაყარმა თითქმის მოასწრო ბუდის მოთავება, ორ წყებათ ბარტყების გამოტეხა და საზამთროდ ათ გირვანქამდე თაფლის შენახვა. მინდოდა დავკვირვებოდი და გამეგო, თუ როგორ იზამთრებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზამთარში სკა ღორს გადაებრუნებია და ნაყარი გამქრალიყო. ეს ფაქტი ჩვენ ცხადად გვიჩვენებს, რომ შემოდგომის თაფლობა ძალიან ხანგძლივია და მეტად მდიდარი. მართლაც, თაფლობა თითქმის გასაშუალებულია (24 სეკტემბერს), ახალი უბინაო ნაყარი იმზადებს ზამთრისთვის ბინას, ასწრებს ორ პირად ახალი ბარტყის გამოტეხას და აგროვებს საზამთრო საკვებს. აქედამ ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი სარგებლობა შეუძლია მოიტანოს მთელი შემოდგომის თაფლობის განმავლობაში ღონიერმა და რიგიან სკაში დაბინავებულმა ნაყარმა.

მეფუტკრეს მარტო შემოდგომის თაფლის სიმდიდრე არ აინტერესებს. მას ამაზე უფრო საინტერესოდ მიაჩნია (უნდა მიაჩნდეს კიდეც) მაღალი ღირსება შემოდგომის თაფლისა, რომელსაც თამამად შეუძლია უპირველესი ადგილი მოიპოვოს ყველგან და ღირსეული ყურადღება მიიქციოს მხმარებელთაგან.

თუ გვსურს ვისარგებლოთ შემოდგომის თაფლით, ფუტკარი შესაფერად უნდა გავამზადოთ ამ დროსათვის, რომ არავითარი დაბრკოლება არ ექნეს მას მუშაობის დროს. ფუტკრის შესაფერი გამზადება მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც დაახლოვებით გვეცოდინება მისი ცხოვრება გაზაფხულის უმთავრეს თაფლობის გათავებიდამ შემოდგომის უმთავრეს თაფლობის დაწყებამდე. ფუტკრის ამ დროის ცხოვრებასთან ერთად შევისწავლით, რასაკვირველია, ადგილობრივ ბუნებას, ჰაერსა და თაფლის მომცემ მცენარეებს. მეფუტკრემ მიუცილებლად უნდა იცოდეს, რომ აღნიშნული ალაგი იძლევა შემოდგომის თაფლს, უნდა იცოდეს აგრეთვე თვით თაფლის მომცემი მცენარე და დრო თაფლობისა.

შემოდგომის თაფლის მომცემი მცენარეები და ის ადგილები, სადაც ისინი გავრცელებულნი არიან.

შემოდგომის თაფლს დასავლეთ საქართველოში, უმთავრესად, ორი მცენარე იძლევა—„გარეული

ქონდარი“ (Satureja afficinalis) და „სურო“ (Hedera helit).

გარეული ქონდარი ხარობს ქვიან, მშრალ და ფშვნილ ნიადაგზე. ამიტომ ყველა ჩვენი მთის ალაგები და მათი ფერდობები, რომელნიც ამგვარ ნიადაგს წარმოადგენენ, მაღლობიდგან დაწყებული ჭალებამდე, დაფარულნი არიან ქონდრით. გიკვირთ, როდესაც ქონდარი ზაფხულის სულის-მხუთავ პაპანაქება გვალვაში ჰკიდია თავის პატარა ფესვით გახურებულ კლდის ნაპირზე და არხეინად ხარობს ცხელი ქარისაგან, თითქოს დასცინის იქვე მდგომ სიცხისაგან მოქანცულს და გულ შელონებულს ვეებერთელა ხეებს. მას საქონელი არა სჭამს და ეს გარემობა ხელს უწყობს, რომ მან სხვა ბალახეულობა დასჯაბნოს იმ ალაგებში, სადაც შექმნა ის ერთხელვე ბუნებამ. ეს მცენარე მრავალ-წლოვანია, ზედა-ნაწილები საზამთროდ ხმება მიწის პირამდე; რჩება ცოცხალი ფესვები, რომლიდანაც გაზაფხულზე ხელახლად წამოვა მწვანე ნორჩი ყლორტები. თესლითაც ადვილად შენდება (თესლი წვრილია, შავი ფერის, წაგავს თოფის წამალს). ყვავილი თეთრი აქვს, წითური ულვაშებით. საყვავილეები ღერზე რიგზედ აქვს გაყოლებული და ყვავილობს თანდათან, ძირიდგან დაწყებული წვერამდე. ყვავილი თუმცა პატარაა, მაგრამ შედარებით მანანა ბლომად აქვს და ამისათვის უხვ მოსავალს იძლევა. ყვავილს თითო-ოროლად დამლევ ივლისშიაც შეხვდებით, ხოლო სრული ყვავილობა ენკენისთვეშია. სრული ყვავილობის დროს მინდვრები და ტყის პირები თითქოს სქლად დადებული რთველითაა გათეთრებულია. გრძელდება ყვავილობა ზამთრის პირამდე, სანამ თოვლს არ დასდებს და მრავალი ყვავილი თოვლსაც მოჰყვება ქვეშ. პირველ ყვავილებს ფუტკრები თითქოს არც ეკარებიან, მაგრამ, შემდეგ პირველი წვიმისა, უეცრად მოედებიან მათ და შეჰქმნიან გულის გამხარებელ ბზუილს. ეს იმიტომ ხდება, რომ მშრალ ამინდში მანანა მეტად სქელია და ფუტკარს არ ეხერ[illegible]ება მისი ამოწოვა. წვიმა კი და საზოგადოდ ნესტიანი ჰაერი მას ათხელებს და შემდეგ ის ადვილად ედება ფუტკრის ენას. განუწყვეტლივ გადადიან ფუტკრები ერთი ყვავილიდგან მეორეზე და დილიდგან საღამომდის აგროვებენ როგორც თაფლს ისე რამოდენიმეს ძტრედის ფერ ყვავილის მტვერსაც. მანანა მუქი ფერისაა და საკმაოდ სქელი; სულ ახალი ჩასმულიც რომ იყოს ფიჭებში, მაინც ძნელად გადმოისხმება იქიდგან; ამიტომ ფუტკრები მას ადვილად აქცევენ თაფლად და მალე ბეჭდავენ მით სავსე ფიჭებს- ქონდრის თაფლს აქვს თავისებური სასიამოვნო გემო და სუნი, რის გამო პირველ ნახვაზე ბევრს არც კი სჯერა, თუ ეს ნამდვილი თაფლია. თაფლი მეტად საღია. უბრალო ხალხი ხმარობს მას წამლად სხვა-და-სხვა ავადმყოფობისათვის.

აქედგან ადვილი წარმოსადგენია, რომ გარეული ქონდარი მეფუტკრეთათვის მეტად საყურადღებო მცენარე უნდა იყოს და ძნელად თუ რომელიმე სხვა მცენარე მას ამ მხრივ შეედრება. ფუტკარი ამ მცენარის ხანგრძლივ ყვავილობაში გამრავლებასაც ასწრობს და თაფლის შენახვასაც, სხვა მცენარე კი ან მარტო ფუტკრის გამრავლებისათვისაა გამოსადეგი, ან და მარტო თაფლისათვის.

სურო ხარობს შავი ზღვის ნაპირას, საზოგადოდ ნოტიო ალაგებში. ზოგ ადგილს თითქმის ყოველ ხეზედ არის შესული. ყვავილობას იწყებს აგვისტოს რიცხვებში, თითქმის ქონდართან ერთად, და გასტანს შუა ოკდომბრამდე, რადგან სხვა-დასხვა ჯიშისაა—საადრო და საგვიანო. ყვავილი ქოლგის მსგავსია, ულვაშები წყობათ აქვს გარშემოვლილი და თავებზედ აქვსთ ყვავილის ფქვილი. მნაირად თვითეული ყვავილი წარმოადგენს თეფშს, რომლის ძრო რამდენიმედ ამობერილია. ამ ძროზე ჩნდება ტკბილი წვენი, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ შრება და შაქრის მტვრად იქცევა. ეს წვენი ფიჭაშიდაც მალე შრება, მაგრდება და იქცევა ეგრედ წოდებულ „კრიპუჭად“, რომელიც მეტად სასიამოვნო საჭმელია, ხელებს არა სვრის და პირში ყინულისავით ნდება. შემოდგომის თბილი ჰაერი ზღვის პირას ხელს უწყობს ფუტკრებს სრულიად ისარგებლონ ამ მცენარით, განსაკუთრებით დასავლეთის ფერდობებზე (მთის კალთებზე), რომელნიც დაფარულნი არიან შემოდგომის ცივი ქარებისაგან, და სადაც ფუტკრები ბუდის თბილად შემნახავ სქელ კანიან როფებში სცხოვრებენ.

რაფიელ ჩიხლაძე

(შემდეგი იქნება)

ჭეშმარიტი მარხვა

ბოროტება უკუაგდე,
ენას დააჭირე კბილი...
სხვისი ქირდვა, კილვა, კიცხვა
ნუ იქმნება შენთვის ტკბილი.

—

აღვირ ასხი გულის წყრომას,
განიოტე გულის მწიკვლი,
ცოცხალ მოყვსის საფლავს ნუ სთხრი,
უკუღმართი ნუღა ივლი...

—

აღმოხოცე გულისაგან:
მტრობა, შური, ძმის ღალატი,
ნუ იქმნები: ცრუი, ფლიდი,
ორპირი და მუხანათი...

—

თუ რამ შესცდე, როგორც კაცი,
შენანების იწყე ოხვრა;
ეს არს ბრალთა შემნდობელი,
აი ჭეშმარიტი მარხვა!

რ. სჯაოხელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ამ დღეებში დეპეშამ მოკლედ გადმოგვცა დიდად საყურადღებო ამბავი საერო განათლების სამინისტროს ახალის განკარგულების შესახებ. ახლა გაზეთებში ვკითხულობთ უფრო ვრცელს ანგარიშს ამ განკარგულების შესახებ. საერო განათლების სამინისტრო ავალებს სამოსწავლო ოლქის წელსვე შემოიღონ შემდეგი ახალი წესი ეგზამენებისა და ნიშნების შესახებ საშუალო სასწავლებლებში: 1) გიმნაზიის, პროგიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის მოწაფენი, რომელთაც ყოველ საგანში ნიშანი სამი (3) აქვთ ან უფროსი ნიშანი, უეგზამენოდ უნდა იქმნენ გადაყვანილნი შემდეგ კლასებში; თუ მოწაფე სუსტობს რომელსამე საგანში, თუმცა ნიშანი 3 უზის, პედაგოგიურ საბჭოს ნება აქვს დაუნიშნოს მას საზაფხულოდ დამატებითი მუშაობა, გადაყვანით კი უთუოდ უნდა გადაიყვანოს შემდეგ კლასში. 2) მოწაფეთ, რომელთაც ცუდი ნიშანი აქვთ (2 ან 1) ერთს ან ორს სამეცნიერო საგნებში, ხოლო რეალურ სასწავლებელში ხაზვა-ხატვაში და სამეცნიერო საგნებში, მათ, პედაგოგიურის საბჭოს დადგენილებით, უნდა დაენიშნოს ეგზამენი იმ საგნებში, რომელშიაც ცუდი ნიშანი აქვთ. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც პედაგოგიური საბჭო დარწმუნდება, რომ მოწაფემ მეტად ცუდათ იცის საგანი და იმედიც არ არის—მომავალში გასწორდეს, საბჭოს ნება აქვს დასტოვოს მოწაფე მეორე წელს იმავე კლასში, მაგრამ ამ შემთხვევაში უთუოდ საოლქო მზრუნველის ნება-რთვაა საჭირო. 3) მოწაფენი, რომელთაც ცუდი ნიშანი (3 ან 1), გარდა ორ ხსენებულ საგნებისა, სხვა საგნებშიაც აქვთ, უნდა დატოვებულ იქმნენ იმავე კლასში; მათ ეგზამენის დაჭერის ნება აღარ აქვთ. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მზრუნველის ნებართვით, საბჭოს შეუძლია ამათაც დაუნიშნოს ეგზამენები იმ საგნებში, რომლებშიაც ცუდი ნიშანი აქვთ. 4) ამ წესების მე-2 და მე-3 მუხლებში აღნიშნული ეგზამენები მოწაფეთ უნდა დაენიშნოს ზაფხულის შემდეგ. მხოლოდ თუ მოწაფეს ერთ საგანში აქვს ცუდი ნიშანი, მაშინ შეიძლება, მას ეგზამენი გაზაფხულზე დაენიშნოს, სწავლის გათავების შემდეგ. ვინც გაზაფხულზე დაიჭერს ეგზამენს, მას ზაფხულის შემდეგ აღარ დაენიშნება ხელმეორე ეგზამენი, თუ ცუდი ნიშანი მიიღო. 5) მოწაფენი, რომელთაც უეგზამენოდ გადიყვანენ შემდეგ კლასებში, თუ თავის ყოფაქცევითა და სწავლით ღირსნი არიან დაჯილდოვებისა, დაჯილდოვებულ უნდა იქმნან იმავე წესით, როგორც მათ დღემდის აჯილდოვებდნენ. 6) საზაფხულო ვაკაციების შესახებ უწინდელი წესი რჩება ძალაში. დანარჩენში—შესახებ მისაღებ, გადასაყვან და კურს დასასრულებელ ეგზამენებისა—ძალაში რჩება 1901 წლის წესი. ზემო აღნიშნულ ექვს მუხლში დასახელებული წესები საქალებო გიმნაზიებზედაც ვრცელდება, გარდა მე-7 და მე-8 კლასებისა, რომლებშიაც ძალაში რჩება აწ არსებული წესი.

* * *

სასულიერო გაზეთ [illegible] ეპისკოპოზების ბრ[illegible] დაბეჭდილია ჰელსინ[illegible] სრულიად [illegible] შეეცდა[illegible] ოფესტის წაკითხვას. [illegible]ში ისიმღვდლის სოლ[illegible] კებაში იქმნენ მიცემულნი, ხოლო მა-

ლიერი მამა ამტკიცებს «მოსკოვ- ვედომ.“-ს და სხვა რეაქციონერ გაზეთების კორესპონდენტების ბორგებსა და ფანტაზიებს.

„კორესპონდენტები სხვათა შორის სწერენო, ამბობს მ. სოლოვიოვი, ვითომც აღდგომა დღეს მართლ-მადიდებელ ეკკლესიებში ლიტანიითაც ვერ გამოდიოდა სამღვდელოება იმის შიშით, რომ ფინლანდიელები ქვებსა და ტალახს დაუშენენ და სასაცინოდ აიგდებენო. ეს მტკნარი სიცრუეა: ჰელსინგფორსის მართლ-მადიდებელ ეკკლესიების დაარსებიდან ყოველ წელიწადს ლიტანიით უვლიან ტაძრებს აღდგომა დღეს და არავის არ ახსოვს, რომ ფინლანდიელებს რაიმე ეკადრებიოთ, რაიმე შეურაცხება მიეყენებიოთ სამღვდელოებისათვის. ესევე ითქმის ფინლანდიის სხვა მართლ-მადიდებელ ეკკლესიების შესახებაც. მე ამას საქვეყნოდ ვამოწმებ, როგორც სასულიერო პირი, რომელიც 50 წელიწადია ვმსახურებ ფინლიანდიაში“.

***

„პეტერბ. გრადონ. უწყ.“ დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება გრადონაჩალნიკისა: «მარტის 3-ს შუადღის 12½ საათზე ნევის პროსპექტზე, სადოვისა და ყაზანის ქუჩებს შუა, დიდძალს შეკრებილს საზოგადოებაში, რაც ამ ადგილას იშვიათი არ არის დღესასწაულებში, ყმაწვილ კაცთა ჯგუფმა, უმთავრესად სტუდენტებისაგან შემდგარმა, სამჯერ სცადა ქუჩაში უწესობა მოეხდინა. რამდენიმე კაცმა ააფრიალა წითელი დროშები, რომლებზედაც შეესაბამო წარწერები იყო. ეს მათი ცდა მაშინვე შესწყვიტა პოლიციამ, ყველა დროშები წაართვა და მათი ამფრიალებელნი და უწესობის მონაწილეთა უმრავლესობა შეიპყრა. რადგანაც ყველა შეპყრობილნი არიან 8 მარტს და 9 დეკ. 1901 წ. გამოცემულ სავალდებულო წესდებულებათა დარღვევაში, მე, გარდა იმისა, რომ მათ სამართალში ვაძლევ, ვაპატიმრებ სამი თვით შემდეგ პირთ. ბრძანებაში ჩამოთვლილია მათი სახელი და გვარი, რომელთა შორის არიან სტუდენტები 21 პეტერბ. უნივერსიტეტისა, 5 სამადნო ინსტიტ., 2 სამოქ. და [illegible] ინსტიტუტისა, 4 გზათა ინჟენ. ინსტ., 2 შემდეგ ის ად[illegible]ბ. აკადემიისა, 2 უმაღლესს საქალაქოებლივ გადადიან [illegible] ფინელნი, 1 ექიმი, 2 ნაფიცი მეორეზე და დილიდგან [illegible]ლის ექიმი და 42 კაცი როგორც თაფლს ისე რამოდენიმ[illegible] ყვავილის მტვერსაც. მ[illegible]ნანა მუქი ფერ[illegible]

«კრიმსკი კურიერის» ყურადღებაც დავიმახსოვეთ. გაზეთი დაწვრილებით აღნიშნავს ჩვენის ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრესა და სწუხს, რომ ასეთი ედემისებური მხარე განუვითარებელია და ჩამორჩენილი.

„მართლ კავკასიის მდინარეთა ძალა ისეთია, სწერს გაზეთი, რომ რუსეთის მთელს მრეწველობას, ყველა ფაბრიკა-ქარხნებს, შეუძლიათ იქონიონ მუქთი მმოძრავებელი მანქანები თავიანთ მაშინებისათვის; მაგრამ ამ ძალით თითქმის სრულიად არ სარგებლობენ. არ სარგებლობენ იმიტომ, რომ კავკასიაში სუსტად არის განვითარებული მრეწველობა, ხოლო იმის განვითარებისათვის კავკასიას ნაკლებად ჰყავს სპეციალისტები, საქმის მცოდნენი და მეცნიერნი. კავკასია უსაზღვროდ არის მდიდარი ყოველგვარის მადნით. კავკასია მდიდარია ქვა ნახშირით, მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ გაიჩარხოს ათასგვარი სამრეწველო საქმე. მდიდარია, ყველაფერი აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სძინავს ეკონომიურად. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ განათლებას არ ვავრცელებთ. ყოვლის უწინარეს საჭიროა, რომ კავკასია მოიფინოს განათლების ტაძრებით, რომ იქ დაარსდეს პოლიტეხნიკუმები, სამთო ინსტიტუტები, სავეტერინარო სასწავლებლები და, ყველაზე უფრო, უნივერსიტეტები. მაშინ, მხოლოდ მაშინ, აღორძინდება ქვეყანა და ჩვენ არ გავიგონებთ ისეთ უცნაურ ამბებს, რომ კავკასიაში მუშა ხალხს სამუშაო ვერ უშოვნია, რომ მცხოვრებთაგან ბევრი ავაზაკობს და სხვ.

მიეცით ამ ქვეყანას სინათლე, მეტი სინათლე და ცოდნა!“

***

ოფიციალურ „ფინლანდ. გაზ.“-ში დაბეჭდილია მთავრობის შემდეგი მგზავნილება:

„უმაღლესის მანიფესტი 1901 წლის 29 ივნისს (12 ივლისს) გამოცხადდა ახალი წესდება სამხედრო ბეგრისა ფინლანდიისათვის. ამის შემდეგ ჰელსინგფორსში დაიწყეს ჩამოსვლა ფინლიანდიის საერო კრების წევრებმა საგანგებო სხდომის მოსახდენად და სხვა პირებმაც, რომელნიც ცნობილნი არიან პოლიტიკურის მოღვაწეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენისამე კერძო სხდომის შემდეგ, რომელნიც მოხდა უმთავრესად ცნობილის პოლიტიკურის მოღვაწის მეხელინის ბინაზე, ყველა აღნიშნული პირი და ბევრი სხვაც შეიკრიბნენ 4 (17) აგვისტოს ტურგოლმის კუნძულზე (ქ. ჰელსინგფორსის ახლო), სადაც შეიმუშავეს პასტორთა მიმართ პროკლამაცია; ამით ისინი ხალხის სასულიერო მწყემსთ იწვევდნენ არ დაემორჩილონ უმაღლეს მანიფესტს, არ გამოაცხადონ იგი ეკლესიებში, როგორც ამას კანონი მოითხოვს, და, საზოგადოთ, თავის მაგალითით ხალხიც წააქეზონ ახალის წესდების წინააღმდეგობაზე.

ამ პროკლამაციის შემდეგ მცხოვრებთა შორის გავრცელდა მეორეც სათაურით—„როგორ უნდა მოვიქცეთ სამხედრო ბეგრის საქმეში“, რომელიც ასე იყო ხელმოწერილი: „საერო კრების ზოგიერთი დეპუტატი“. უკანასკნელს პროკლამაციაში მკვიდრთ ურჩევდნენ: დეპუტაციების საშუალებით სთხოვეთ მღვდელთ, რომ არ გამოაცხადონ ეკლესიებში უმაღლესი მანიფესტი; ხოლო, თუ მღვდლები ამ თხოვნას არ შეგისრულებენ, მაშინ ეკლესიებში გამოუცხადეთ მედგარი პროტესტი, მიიღეთ ყოველგვარი ღონის-ძიება, რათა მღვდლებმა ვერ მოახერხონ მამიფესტის გამოცხადება და შემდეგ ყველა ერთად გამოდით ეკლესიებიდან.

ამ პროკლამაციების გარდა ფინლანდიაში გავრცელდა სხვა-და-სხვა აუარებელი ფურცელი და ბროშურა, უმთავრესად სტოკჰოლმში და შტეტინში დაბეჭდილი; ამ ბროშურებში და ფურცლებში ხალხს დამახინჯებულად უამბობდნენ სამხედრო ბეგრის ახალის წესდების საქმეს.

აღნიშნულ პროკლამიციების მოწოდების თანახმად, ბევრი ეკლესიების მღვდლებმა უარი სთქვეს და არ გამოაცხადეს უმაღლესი მანიფესტი; ზოგიერთი მათგანი ფილანდიის სენატის წინაშე შუამდგომლობდა გაგვანთავისუფლეთ მძიმე მოვალეობისაგანო (მანიფესტის გამოცხადებისაგან); სხვებმა სასტიკის კილოთი შედგენილი განცხადებანი წარუდგინეს სენატს, რომლებითაც აღნიშნეს, რომ «არ შეუძლიანთ კანონად აღიარონ უმაღლესი მანიფესტი; ამიტომ სინდისი ნებას არ მიცემს მათ გამოუცხადონ მანიფესტი ხალხს, რადგან თუ გამოუცხადეს, ეს იქნება დარღვევა ფიცისა და ღალატი სამშობლოს წინაშე“, მაგრამ ფინლანდიის სენატმა უარი უთხრა შუამდგომლობაზე მღვდლებს და დაავალა კონსისტორიებს—მიიღონ შესაფერი ღონისძიებანი და გამოაცხადებინონ მღვდლებს ეკლესიებში უმაღლესი მანიფესტი.

დაწესებულებათათვის და ეკლესიებისათვის „კანონთა კრებულის“ იმ ნომრის დარიგება, რომელშიაც მოთავსებული იყო ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება, დაგვიანდა; ზოგიერთი მმართველობანი არ ურიგებდნენ მღვდლებს იმ ნომერს, ხოლო ქალაქ ნიუსტადის მმართველობამ სრულიადაც არ გადასცა ეკლესიებს იგი იმ მოსაზრებით, რომ «ახლს წესდებას სრულიადაც არ შეუძლია კანონის ძალა იქონიოს ფილანდიისათვისო“. ამ დაგვიანებით ისარგებლეს ბოროტ-მომქმედ აგიტატორებმა და წინააღმდეგობისათვის მოამზადეს ფინლანდიის გავლენიანი ინტელიგენცია და ზოგიერთ თემებში ხალხიც.

ზოგიერთ ეკლესიაში, როდესაც მღვდლებმა დააპირეს უმაღლესის მანიფესტის წაკითხვა, დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებმა, უმთავრესად ინტელიგენტებმა, არ აცალეს და გამოუცხადეს მღვდლებს მრევლის მხრით: „ნუ ჰკითხულობთ ისეთ ბრძანებას, რომელიც ფინლანდიის კანონებს მიხედვით არ არის შედგენილი“; სხვა ეკლესიებში, როგორც-კი დაიწყებდნენ მღვდლები მანიფესტის კითხვას, დამსწრენი იწყებდნენ ფსალმუნის გალობას—„უფალია ჩვენი ძლიერი მფარველიო“—და მღვდლები იძულებული ხდებოდნენ შეეწყვიტათ მანიფესტის კითხვა. ხოლო ზოგიერთ ეკლესიაში, მაგალითად, ქალაქ სიბოში (ნიულანდის გუბერნია), ინტელაგენციის წარმომადგენლებმა ძალით გაყარეს ეკლესიიდან ხალხი, რომელსაც მანიფესტის მოსმენა ჰსურდა, და შეურაცხ-ყოფა მიაყენეს მღვდელს, როდესაც იგი ეკლესიიდან გამოვიდა; ხელიდან გამოგლიჯეს მანიფესტი და კინწის კვრით გაიგდეს წინ. ყველა იმ პირთ, რომელნიც უშლიდნენ მღვდლებს მანიფესტის წაკითხვას, ადმინისტრაცია სასამართლოს პასუხის გებაში აძლევდა. მაგრამ ადგილობრივი მოსამართლეები ამართლებდნენ დამნაშავეთ.

მიუხედავად სენატისა და ეპისკოპოზების ბრძანებისა, ზოგიერთი მღვდელი სრულიად არ შეეცადა უმაღლესის მანიფესტის წაკითხვას. მაშინ ისინი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი, ხოლო მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიფესტის გამოცხადებისათვის ეკკლესიებში გაგზავნეს მღვდლები, რომელთაც საკუთარი მრევლი არა ჰყავთ; ერთს ამ გვარს მღვდელს, სახელდობრ ზალმეს მანიფესტი უნდა წაეკითხა ჰელსინგფორსის ეკკლესიბში 3-სა და 13-ს თებერვალს. როგორც-კი შეუდგა კითხვას, მაშინვე მას შემოერტყა მოწინააღმდეგეთა წრე გაზეთ Päivälehti'-ს რედაქტორის, ერო ერკოს, მეთაურობით, რომელმაც გამოუცხადა მღვდელს: „ფილანდიის ერის სახელით გთხოვთ შესწყვიტორ მაგ უმაღლესის ბრძანების კითხვა და ჩამოხვიდეთ კათედრიდან“-ო; ამასთანავე სხვებმაც მიაძახეს—ჩვენც გთხოვთ, გთხოვთო! ამის შემდეგ დამსწრეთ დაიწყეს გალობა ფსალმუნისა «უფალია ჩვენი ძლიერი მფარველი“. მღვდელი იძულებული შეიქნა შეეწყვიტა მანიფესტის კითხვა.

დემონსტრაციის მონაწილენი პოლიციის კომისარმა საპოლიციო მმართველობაში მიიწვია ოქმის შესადგენად. ყველა მონაწილეს, რომელთა შორის იყვნენ: სამსახურიდან გადაყენებული, მავნე პროპაგანდის გამო, ლიცეის რექტორი ფონ-ბენსდორფი, ადვო-კატები ფონ-გარტმანი და ემილ ვალლინი და სხვები—, ჰსურდა ერთად მიეცა ჩჩვენება პოლიციისათვის, მაგრამ გააცალკავეს, ჩამოართვეს ჩვენება და გაანთავისუფლეს.

შემდეგ კვირას, 10 (23) თებერვალს, ხალმემ კიდევ განიზრახა მანიფესტის წაკიხვა, მაგრამ დაწყებისთანავე ზემოხსენებულმა ბ. ფონ-ბენსტორფმა მიაძახა: «მღვდელმა არ უნდა იკითხოს სამხედრო ბეგრის შესახები ბრძანება, რადგან იგი უკანონოა, და ჩვენ პროტესტს ვაცხადებთო“. ამასთანავე დოქტორმა ცილიაკუსმა და სხვებმა მიაყვირეს: „არ შეიძლება მაგის წაკითხვაო“; ხალხმა შემოსძახ ფსალმუნი: «უფალია ჩვენი ძლიერი მფარველი“ და მღვდელმა ისევ შესწყვიტა უმაღლესის მანიფესტის კითხვა.

დემონსტრაციის მონაწილენი კომისარმა კვლავ მიიწვია პოლიციაში ოქმის შესადგენად. მათ თან გაჰყვა დიდ-ძალი ხალხი, რომელიც გარს შემოეხვია საპოლიციო მმართველობის შენობას. პოლიციის თხოვნაზე დაშლილიყო, ხალხი ყვიროდა „ურას» და ადგილიდგან არ იძროდა. მაშინ გამოწვეულ იქმნა ცხენოსანი და ქვეითა ჯარი, რომელმაც განფანტა ხალხი და ამასთანავე დაატუსაღა ზოგიერთი მოწინაალმდეგე. ოქმის შესადგენად პოლიციაში მიწვეულთა შორის იყვნენ შემდეგი პირებიც: ნიულანდის საგუბერნიო მმართველობის ყოფილი ვიცე-ლანდსკამერირი გოლბერგი, ყოფილი რექტორი ფონ-ბენსდორფი, ფილოსოფიის მაგისტრები ბლუმკვისტი და სტოლლი, სენატის მდივანი ემილ ფურულ-ჰეიმი (რომელმაც ჯოხიც-კი დაჰკრა თავში პოლიციის კომისარს), სტუდენტები და სხვანი.

ყველა ამ საქმის შესახები ოქმები გადაეცა პროკურორს დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემად.“

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტმა მიწერილობა გაუგზავნა ყველა სამკურნალო სამართველოებს, რომლითაც უცხადებს, რომ ეპარქიალურ და დედათა ინსტიტუტში კურს დამთავრებულ ქალებს ნება ეძლევათ აფთიაქის შეგირდებათ შევიდნენ, თუ ამასთანავე მოწმობას წარადგენენ, რომ მათ ვაჟთა გიმნაზიის 4 კლასის პროგრამის ლათინური ენა იციან. იმ შემთხვევაში-კი, როცა რომელსამე პირს ზემოდ დასახელებული სასწავლებლები დასრულებული არ ექნება, აფთიაქში შეგირდათ შესასვლელად უნდა ვაჟთა გიმნაზიის ოთხი კლასის პროგრამით ეგზამენი დაიჭიროს ბერძნული ენის გარდა.

*** ფინანსთა სამინისტროს ტეხნიკურს კომიტეტს ჩვენებურ მემამულის გიორგი ლუდუშაურისათვის მიუცია მოწმობა, რომლითაც დაცულია მისი, როგორც გამომგონის, უფლება ვაგონების ავტომატიურად გადაბმის ხელსაწყოზე. ეს ხელსაწყო ბ-ნმა ლუდუშაურმა გამოიგონა შარშან ლვინობისთვეში და მოწონებულ იქმნა გზათა სამინისტროს ტეხნიკოსებისაგან.

*** იმავე ბ-ნს ლუდუშაურს გამოუგონია ავტომატიური ისარი, რაიცა მისის აზრით უკეთ აასრულებს თავისს დანიშნულებას, ვიდრე მეისრე. თუ ჩემი გამოგონილი ისარი შემოიღეს, ამბობს გამომგონი, რკინის გზებზე აღარ მოხდება მატარებლების დატაკებაო...

*** უმთავრეს საცენზურო კომიტეტის ანგარიშით, გოგოლის თხზულებანი იუბილეს დღისათვის გამოუციათ სხვა-და-სხვა გამომცემლებს ორი მილიონი ეგზემპლიარი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ახალმა უფროსმა ივანოვსკიმ შემდეგი ბრძანება გამოსცა: შევუდეგ რა ჩემის მოვალეობის აღსრულებას, ზედმიწევნით გავიცნობ ჩემ მრავალ ხელქვეითთა საჭიროებას, როგორც შეჭფერის უფროსს, რომელსაც მინდობილი აქვს მათზე ზრუნვა. ნაცვლად ამისა, მოვითხოვ მოსამსახურეთაგან თავ-თავიანთ მოვალეობათა სინიდისიერად აღსრულებას, საზოგადო წვრილმან დანაშაულობისათვის არავინ დაისჯება, მაგრამ არ მოვუთმენ არავის უპატიოსნოდ და უსინიდისოდ თავისის მოვალეობის ასრულებას.

ფულით დაჯარიმებას სრულიად ვსპობ და ნაცვლად ამისა დანაშაულობისათვის რკინის გზაზე მოსამსახურეთ მიეცემათ შენიშვნა, სასტიკი შენიშვნა, გამოეცხადებათ, რომ დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდან და გადაიყვანებიან მცირე ადგილზე.

იმათ შესახებ, რომელნიც მატარებლებზე მსახურებენ, დანაშაულობას გამოიძიებს ცალკე, ჩემ მიერ დანიშნული, კომისია, რომლის დადგენილებას მე განვიხილავ და დავამტკიცებ.

დანაშაულობისათვის სამსახურიდგან დაითხოვენ ან გადაყვანილ იქმნებიან დაბალ ადგილზე მხოლოდ კომისიის მიერ დანაშაულობის გამოკვლევის შემდეგ, რაც ჩემ მიერ იქნება განხილული და დამტკიცებული.

სამსახურიდგან დროებით გადაყენების უფლებას ვაძლევ განყოფილებათა უფროსებს, დანაშაულობის გამოკვლევისა და ჩემ მიერ დამტკიცებამდე.

თვით მმართველობაში და რკინის გზით მიმოსვლის დროსაც ყველას, განურჩევლად დიდისა და პატარისა, თამამად შეუძლიან მომმართონ თხოვნით.

*** მცხეთის ზემოდ, რკინის გზის პირად, არმაზის ხევთან რკინის გზა ამზადებს ნავთის მილებისათვის დიდრონს რეზერვუარებს, რომელიც უნდა შეეშველოს სადგურ თაქლიდგან ხაშურამდე მიმავალს ნავთს. ამისათვის სთხრიან ფერდობის პირად და პატარა ველზედ გადმოაქვთ და ასწორებენ მიწას. აქ აღმოაჩინეს მუშავეებმა რამდენიმე აკალდამა ერთის საჟენის სიღრმეზედ. ეს აკალდამანი ბრტყელის ქვისაა და უფრო სადგომს ჰგავს, ვიდრე სამარხს. ამ აკლდამებში აღმოაჩინეს, როგორც ამბობენ, ძველი ნივთები ვერცხლისა და ოქროსი: ბადია, ლიტრა და ჩარექები და რამდენიმე ბეჭედი; აგრეთვე ორი ხუთ-ხუთ ჩაფიანი ქოცო, ანუ ქვევრი. ამბობენ, მუშებმა დალალებზედ გაჰყიდეს ეს ძვირფასი ნივთები სამ თუმან ნახევრადაო.

სასურველია, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ტფილისის საარქეოლოგო საზოგადოების განყოფილებამ.

*** „ივერიაში" ვკითხულობთ, რომ დეკანოზს პიანკოვს პერმის საეპარქიო კრებაზე მოხსენება წაუკითხავს იმის შესახებ, რომ სახალხო სიფხიზლის სამზრუნველოს მოქმედება მწვალებლობას ავრცელებს ხალხში: ჰმართავენ რაღაცა გასართობებს, წარმოდგენებს, კონცერტებს, საკითხავებს საერო ხასიათისას და ხალხი უფრო ამ გასართობებზე დადის, ვიდრე ეკკლესიაშიო...

*** მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერის განკარგულებით ქალაქის სამკითხველოებში აღკრძალულ იქმნა ყველა სატახტო ქალაქის გაზეთები, გარდა „მოსკ. ლისტოკ"-ისა და „მოსკ. ვედომოსტი»-სა.

*** 2 მარტს ქუთაისის ქართულმა გამომცემელმა ამხანაგობამ ადგილობრივ კათოლიკეთა ეკკლესიაში გარდაიხადა პანაშვიდი მარი ბროსეს სულის მოსახსენებლად მისი დაბადებიდან ასის წლის შესრულების გამო.

*** 2 მარტს, ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკკლესიაში ქ. შ. წერა-კითხვის საზ. თაოსნობით, დიდის ამბით გარდაიხადეს საქართველოს ისტორიკოს-არქეოლოგის მარი ბროსეს სულის მოსახსენებლად წირვა და პამაშვიდი, რომელსაც დიდ-ძალი ქართველობა დაესწრო, ქალი თუ კაცი სხვათა შორის, წირვა-პანაშვიდს დაესწრნენ: ყოვლად სამღვდელო კირიონი, საფრანგეთის კონსული, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი სულთან-კრიმ-გირეი, ადგილობრივ გაზეთების წარმომადგენელნი და მრავალი სხვანი. ღვთის-მსახურება წირვა-პანაშვიდზე შეასრულეს ლათინურად და ქართულად მამებმა პავლემ და დომინიკემ საკრებულოთი; მშვენივრად გალობდა ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით მგალობელთა გუნდი, რომელმაც მშვენიერის კილოთი იგალობა ქართულად, სხვათა შორის, „მიწყალე". ბროსეზე სიტყვა წარმოსთქვა მამა დომინიკემ.

*** „მთავრობის მოამბეში“ ვკითხულობთ: „თე-ბერვლის 10-ს ქართველ თავად-აზნაურთა ქუთაისის დეპუტაცია მიიწვიეს საზამთრო სასახლეში ხელმწიფის საუზმეზედ. წირვის შემდეგ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ, ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა უავგუსტოესის შვილებით და მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ ხელმწიფე-მემკვიდრემ და დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ გააბედნიერეს თავიანთი სალამით ქუთაისის დეპუტაცია. შემდეგ დეპუტაცია და დამსწრენი მალახიტის დარბაზში მიიწვიეს, სადაც მრგვალ სტოლებზე ხელმწიფის საუზმე იყო გამართული. სტოლები მშვენივრად მორთული იყო ვარდებითა და ყვავილებით. საუზმის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ გააბედნიერეს დეპუტაციის თითოეული წევრი მოწყალე სიტყვებით. ხელმწიფე იმპერატორმა გამოჰკითხა დეპუტაციას ქუთაისის გუბერნიის საქმეების შესახებ ამბები“.

*** ბ-ნს მიხ. სანოძეს უთხოვნია მთავრობისათვის ნება დართონ მას ქუთაისსა, ხონსა და სამტრედიას შუა ავტომობილებით მგზავრთა მიმოსვლა გამართოს.

*** 4 მარტს, ფოთის საკათედრო ტაძარში, ჩვეულებრივის ლოცვის შემდეგ გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო პარაკლისი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს ორმოცის წლის მღვდელმთავრულის სამსახურის გამო. მისი მეუფება მობრძანდა ტაძარში თორმეტის ნახევარზე. პარაკლისი გარდახდილ იქმნა საკათედრო ტაძრის დეკანოზის მ. გრიგოლ მაჭაროვის მიერ, თანამწირველობით დეკანოზ-ბლაღოჩინის კაპიტონ გაწერელიას, ტაძრის კრებულისა და ბლაღოჩინის მღვდლის კ. ჭანტურიასა. პარაკლისს დაესწრენ: ქალაქის თავის მოადგილე ი. ს. ფანცხავა, სახალხო სკოლების ინსპექტორი ი. ნ. სუდაკოვი, ნავთ-სადგურის ინჟინერი მეიერი, პოლიცმეისტერი თავ. აბაშიძე, სამეგრელოს სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი კონონოვი, სამხედრო ექიმი კ. ი. მიქაბერიძე, საქალებო სასწავლებლის უფროსი, სამრევლო სკოლის მასწავლებლები მოსწავლეებითურთ და მრავალნი სხვანი. პარაკლისის შემდეგ დეკანოზ მაჭაროვმა სიტყვა მოახსენა იუბილიარს, რომლით მოკლედ და მშვენიერად დაახასიათა მისის მეუფების სამსახური 40 წლის განმავლობაში, და მიართვა სამღვდელოების მხრით მაცხოვრის ხატი.

იმავე დღეს იუბილიარსა და მისს სტუმრებს სადილი ჰქონდათ გამართული დეკანოზ მაჭაროვის სახლში; სუფრაზე მრავალთაგან წარმოითქვა სიტყვები; სხვათა შორის, შესაფერისი სიტყვა წარმოთქვა დეკანოზ-ბლაღოჩინმა კ. გაწერელიამ, რომელმაც სამეგრელოს სამღვდელოების მხრით მიულოცა მისს მეუფებას ორმოცის წლის სამაგალითო სამსახური მღვდელ-მთავრობის ხარისხში. მხცოვან იუბილიარს მრავალი მოლოცვის დეპეშები მოუვიდა სხვა-და-სხვა წარჩინებულ პირთაგან და ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხეებიდან.

*** მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულით შემოწირულება მარტის 4-მდე შემოსულა სულ 275.000 მანეთი. მას შემდეგ კიდევ ხელმწიფე იმპერატორმა უწყალობა იმავ დაზარალებულთ 100,000 მან.

*** ბერ-მონაზონი დავითი, მასწავლებელი ქართულის ენისა აქაურს სასულიერო სასწავლებელში, გადაყვანილ იქმნა ახალ-სენაკს სასულიერო სასწავლებელის ინსპექტორად, ბერ-მონაზონს დავითს უმაღლესი სასულიერო სწავლა აქვს დამთავრებული და მისი დაწინაურება სამსახურში ფრიად სასიამოვნოა.

*** სინოდალურ კანტორის წევრი არხიმანდრიტი გიორგი (ალადოვი) დაინიშნა წმ. იოანნე ნათლის მცხეთის მონასტრის წინამძღვრად.

*** „პრავიტელსტვენ. ვესტნიკში“ გამოცხადებულია სამხედრო სამსახურის ის პროგრამმა, რომელიც საჭიროა საიმპერატორო სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტთათვის.

*** მოგებითი ბილეთების უკანასკნელს ტირაჟში ორასი ათასი მანეთის მოგება შეხვდა პეტერბურგში მცხოვრებს ტყის ვაჭარს ბ-ნს ბონდარევს.

*** 13-ს მარტს, უცაბედად, საფანტით გატენილი თოფი გაუვარდა ერთ ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოწაფეს და ერთი ამხანაგი მოკლა და მეორე დაიჭრა.

*** ყვირილაში ექვს კლასიანი სამოქალაქო სასწავლებლის გახსნა უკვე გარდასწყვიტა სახალხო განათლების მინისტრმა. ხარაგოულში სამ-კლასიანი ასეთივე სკოლის გახსნის საქმე ჯერ უმოძრაოთ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული კვირიაკეს ხორცთა აღებისასა.

არა გვაქვს აქ, საყოფელად ქალაქი,
არამედ მერმესა მას ვეძიებთ (ებრ. 13,14).

პავლე მოციქული გვეუბნება ამ სიტყვებით: ჩვენ ამ ქვეყანაზე საყოფელად არა გვაქვს ქალაქი, ე. ი., ჩვენ აქაურნი მემკვიდრენი არა ვართ, ჩვენნი სულნი და გულნი უნდა იყვნენ მიმართულნი მომავლისადმი და მას უნდა ვეძიებდეთო. ჩვენ აქ დამდგომნი არა ვართო, ჩვენ აქ დროებით ვცხოვრობთო და უნდა წავიდეთ იქ, სადაც მოგველის საუკუნოდ განსვენებაო. მიუხედავად ამისა ყოველი ჩვენგანი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რაც შეიძლება მეტი შეიძინოს, უზრუნველ ჰყოს თავისი თავი აქ. მაგრამ მართლა უზრუნველ ჰყოფს ვინმე თავის თავს? საზღვარი აქვს მის შეძენას? როდისმე დაკმაყოფილდება და მეტის შეძენას აღარ მოინდომებს? სრულებითაც არა. შემჩნეულია, ათასი ბევრი ქონება მოიხვეჭოს კაცმა, მაინც კიდევ მეტი უნდა, მისი გული ვერ ძღება, უფრო ხარბდება: „გული კრულია კაცისა ხარბი და გაუმაძღარი“; რამოდენსაც შეიძენს, იმდენად უფრო ავშლება საღერღელი; მას ავიწყდება, რომ სტუმარია ამ ქვეყნისა, სამუდამოდ აქ დამდგომი არ არის, და თავის შეძენილს ქონებას თან ვერ წაიღებს. რამოდენიც მეტი აქვს, იმოდენად ბევრს ფიქრობს, სამუდამოდ თუ არა, რაც შეიძლება მეტი ხნობით დამკვიდრდეს აქ. ასეთი შემცდარი აზრი ღვთისათვის მოსაწონი არ არის და უგუნურს უწოდებს იმ კაცს, ვინც ასე ფიქრობს: „უგუნურო, ამა ღამესა მოიღონ სული შენი შენგან; ეგე რომელ მოამზადე ვისა იყოს?“ (ლ. 12, 20). მართლაც და ჩვენ ვხედავთ დღეს კაცი კარგად ცხოვრობს, ყველანი მას ბედნიერად სთვლიან, ხვალ კი ეს კაცი უკანასკნელ მდგომარეობაშია. ვხედავთ დღეს ჯანმრთელია, გგონია უკანასკნელი ოთხმოც-სამოცი წელიწადი მაინც იცოცხლებს, ხვალ კი დაუძლურებულია, ლოგინიდგან ვეღარ დგება. ეს განა კაცისათვის დამაფიქრებელი არ უნდა იყოს!? ურიცხვი საუნჯის პატრონი ერთბაშად არაფრის მქონებელი ხდება; ჯან-მთელი, საღი კაცი ერთბაშად სნეულდება და ხშირად კიდევაც ესალმება ამ წუთისოფელს. კიდევ კარგი, კაცი რომ ნელ-ნელა სნეულდებოდეს, თანდათან ღარიბდებოდეს, თორემ მოულოდნელად დღეს არის და ხვალ არა. განა ცოტა მაგალითები არის შემახელების ერთ წამში დაღუპვის მსგავსი? ერთსა და იმავე ჟამშიაც ვერ ნახავთ კაცს, რომ თავის თავს სრულ ბედნიერად ხდიდეს; მას რომ რამე არ აწუხებდეს არ შეიძლება. რა არის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ სრული ბედნიერების მოპოვება აქ, ამ წუთი-სოფელში ყოვლად შეუძლებელია. როგორც წარმავალნი სტუმარნი, სამუდამოდ აქ დამყარებისათვის არ უნდა ვცდილობდეთ. ამისათვის გვარიგებს პეტრე მოციქული: „გლოცავ თქვენ საყვარელნო, ვითარცა მწირთა და წარმავალთა, განეშორენით გულის თქმათაგან ხორციელთა“.

რასაკვირველია, ყოველი ჩვენგანი მოვალეა იშრომოს და თვისი შრომით თავი ირჩინოს, სხვის ბარგად არ გახდეს: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსაო“, გვეუბნება უფალი, „ნაყოფი ნაშრომთა შენთა შჭამო შენ, ნეტარ იყო და კეთილ გეყოს შენ“, სწერს დავით წინასწარმეტყველი, მაგრამ კაცი არც მაშინ უნდა იქნეს გატაცებული, როცა ბევრს შეიძენს, და არც სასოწარკვეთილებაში უნდა ჩავარდეს, როცა ცოტა ექნება. «სიმდიდრე თუ გარდაგერეოდეს ნუ შეაპყრობთ გულთა თქვენთა», გვარიგებს იგივე წინასწარმეტყველი და „ყოველსა შინა ვიჭირვით, არამედ არა იწროება გვიჩნს“, გვამხნევებს პავლე მოციქული. ხან ბევრი ექნება კაცს და ხან ცოტა და ორივე შემთხვევაში თავი მაგრად უნდა ეჭიროს და თავის თავი ისე წარმოიდგინოს, როგორც მოგზაური. მოგზაურობის დროს ჩვენ ხან შევხვდე-

ბით ნაყოფიერს, აყვავებულ ღელე-ტეხილებს, მინდვრებს, ნაკადულებს, სადაც სასმელიც და საჭმელიც ბევრიც არის და კარგიც, ხან კი ისეთ უდაბნოებს, დაუსახლებელ ადგილებს, სადაც შიმშილის, წყურვილის და სიცივის მეტი არა მოელის რა კაცს. მაგრამ, როგორც მოგზაურნი, ყოველნაირი გაჭირვება უნდა ავიტანოთ, უნდა მოვითმინოთ. როგორც მოგზაურობის დროს, დროებით დავტოვებთ ხოლმე თავის სახლ-კარს, მოვივლით ზღვა-ხმელეთს, ტყე-მინდვრებს და ბოლო დროს ისევ დავბრუნდებით ხოლმე შინ, ისე რამოდენიმე ხნის აქ მყოფობის შემდეგ ჩვენ უნდა დავბრუნდეთ იქ, სადაც ჩვენი საყოფელი არის. მართალია ჩვენ აქ ვიძენთ მიწა-წყალს, ვიშენებთ სახლებს, ვცდილობთ რაც შეიძლებოდეს კარგად მოვეწყოთ, რათა შიმშილმა და სიცივემ არ შეგვაწუხოს, «რამეთუ არავინ სადა თავი თვისი მოიძულოს», მაგრამ რომ ეს საშუალებათა შეძენა მიზნად ჩვენი ცხოვრებისა არა გარდაგვექცეს და ნაცვლად სარგებლობისა ვნება არ მოგვიტანოს, ყოველთვის სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ აქ დროებით ვეწყობით და ჩვენი სამშობლო აქ არ არის. კაცს აქვს ადგილ-მამული, ფული, სახლ-კარი, მაგრამ ის ისეთივე უსახლ-კაროა, როგორც არაფრის მქონებელი; ვისაც ათასობით აქვს, ის ისეთივე უკმაყოფილოა ამ ცხოვრებით, როგორც არაფრის მქონებელი. ვიმეორებ, აქაური ქვეყნიური ქონება კაცის გულს თავის დღეში ვერ დაკმაყოფილებს, არამედ კიდევ უფრო გაუმაძღარს ხდის, რადგან ნამდვილ საზრდოს ვერ ვაძლევთ ჩვენ სულს და იგი მიესწრაფება იქ, სადაც არის მისი სამკვიდრებელი! «მწირ ვარ მე ქვეყანასა ზედა, ვიმე რამეთუ განმიგრძდა მე მწირობა», სწერს დავით წინასწარმეტყველი. ნეტარ არს ის კაცი, ვინც იმას შეიძენს, რაც მას სამუდამოდ მოხმარდება, შერჩება. როგორც მოგზაურობის დროს ვცდილობთ ყოველისფერი შესამჩნევი, შესანიშნავი დავათვალიეროთ, შევისწავლოთ და მით თავიანთ თავი განვავითაროთ, ისე აქ ცხოვრების დროს ჩვენი უმთავრესი ყურადღება თავდა პირველად უნდა იქნეს მიპყრობილი სულთა ჩვენთა განვითარებისადმი; და ვინც მეტად მოემზადება ბევრის შეძენას მოასწრობს, ის უფრო დამშვიდებული გამოეთხოვება აქაურობას; სანანელად არ გაუხდება განვლილი ქვეყნიური ცხოვრება მას, არამედ პავლე მოციქულის სიტყვების წარმოთქმით: „ღვაწლი კეთილი მომიღვაწეიეს, სრბაი აღმისრულებიეს, სარწმუნოება დამიმარხავს“, გამოესალმება თავიანთ ნათესავებს და ნაცნობებს და ეღირსება იმ დიდ ჯილდოს, რომელსაც მისცემს მაცხოვარი მისთა მცნებათა აღმასრულებელთ: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო! და დიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი, დასაბამიდგან სოფლისათ“ (მათ. 25, 34). ამინ.

მდგ. მარკოზ ტუმანიძე.

მართლმადიდებლობით—ქრისტეანებრივის საეკლესიო საზოგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება.

(გაგრძელება *)

კაცის ბუნება განხრწნილია, დაწყლულებული ცოდვებითა; ადამიანის ნება და საერთოდ ყოველნი ძალნი უფრო მიდრეკილნი არიან ბოროტებისადმი, ვიდრე კეთილისადმი; კაცი ადვილად და სიამოვნებით აკმაყოფილებს სინდისისა და ღვთისაგან აღკრძალულ და მავნებელ ბიწიერ მიდრეკილებებსა, ვიდრე კეთილ და ღვთისთვის სასიამოვნო მოთხოვნილებებსა. რა შედეგი მოჰყვა ღვთის მცნებათა გარდასვლასა, ზნეობრივ კანონის დარღვევასა კაცის მიერ? პირველად ისა, რომ ბიწიერნი სურვილნი კაცისა უფრო და უფრო იზრდებიან, მატულობენ და მთელს მისს არსებას ატყვევებენ, შეაქვთ მასში აღრეულობა, ხრწნილება; ბოროტნი მიდრეკილებანი კაცს უხშვენ, უჩლუნგებენ სულიერთ ნიჭთა, უსუსტებენ შემოქმედებითს ძალასა; ამის გამო ადამიანს არ ძალ-უძს იცხოვროს ნამდვილის, წესიერის ცხოვრებითა, ქმნას იგი, რის ქმნაც მას

*) იხ. „მწყემსი“ № 23—24 1901 წ.

შეეძლებოდა, რომ ბოროტებით შეპყრობილი არ ყოფილიყო. ამასთანავე ბოროტება ბადავს ადამიანის სულში უკმაყოფილებასა, უსიამოვნებას. თვით ცოდვას ისეთი თვისება აქვს, რომ მას, თუ პირდაპირ არა, შემდეგში უსათუოდ თანყვება მწუხარება, ტანჯვა; და რამდენადაც იგი ხშირად განმეორდება, იმდენად უფრო ძლიერდება და მატულობს მის მიერ წარმოშობილი უკმაყოფილება. მეორედ, ადამიანი გრძნობს, რომ იგი არ შვრება იმას, რასაც მას სინიდისი უჩვენებს და ღმერთი უბრძანებს. იგი ხედავს, რომ ის მონაა თვის ცუდ ჩვეულებებისა, რომ იგი თვისს კაცურ დანიშნულებას არ ასრულებს; და ეს აზრი მას აწუხებს, სინიდისი მას ქენჯნის, მოსვენებას არ აძლევს. მართალია, ხანდისხან კაცი თავისუფლდება სინდისის მხილებისაგან, უგულებელს ყოფს, არ გრძნობს სინიდისის მიერ გამოწვეულ უკმაყოფილებასა. ეს ხდება მაშინ, როცა კაცი ამა თუ იმ ქვეყნიურ სიამით სარგებლობს. მაგრამ ესეთი მდგომარეობა კაცისა მოკლე ჟამიერია; ყოველი სიამე ამა სოფლისა დაუდგრომელია; გაივლის ის და კაცს სინიდისი ეღვიძება, და იგი მას უმოწყალოდ, სასტიკად სჯის, აღავსებს მას უსიამოვნო გრძნობებითა. მესამედ, რადგანაც კაცის ბუნება მიდრეკილია ბოროტებისადმი, რადგანაც მან ღვთის მსგავსება დაკარგა, ამის გამო ღმერთი მისგან განშორებულია, არ აცხოველებს მას თვის მადლითა. ღმერთთან კავშირს მოკლებულ ადამიანს არ ძალუძს იცხოვროს ნამდვილის წესიერის ცხოვრებითა და იყოს ბედნიერი; არ შეუძლია იმისთვის, რომ მისი ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მას შეუძლია იცხოვროს ნორმალურის, წესიერის ცხოვრებითა მხოლოდ მაშინ, როცა იგი ღმერთთანაა დაკავშირებული. კაცი არის ქმნილება უფლისა და იმისგან არის დამოკიდებული; იმისგან მიიღო მან ყოველნი ნიჭნი და მხოლოდ მასთან ერთად ყოფნითა, მის კანონისა და ბრძანებისამებრ მოქმედებითა შეუძლია მოიპოვოს ზნეობრივი სიხარეკეკ და ბედნიერება. გარეშე ღვთისა კაცური ცხოვრება და ჭეშმარიტი ბედნიერება შეუძლებელია, სწორედ ისე, როგორც რქა ვერ გამოიღებს ნაყოფსა, თუ ვაზისგან მოიკვეთა. და აი მოკლებულნი ღმერთთან კავშირსა და ამ კავშირისგან წარმომდინარე კაცურ ცხოვრებასა, ჩვენ ვითხოვთ უფლისგან „ზეგარდმო მშვიდობასა და ცხოვრებასა სულთა ჩვენთასა“, ე. ი. ვითხოვთ, რომ უფალმა შეგვაძლებინოს აღვადგინოთ ჩვენი დაცემული ბუნება, ვსძლიოთ, უკუვაქციოთ ბოროტი სურვილები, შევიმოსოთ სათნოებებითა, ვიქნიოთ მასთან ერთობა, ვიქნეთ თავისუფალნი ყოველივე ქვეყნიურ მწუხარებისგან, ვიყვნეთ მხიარულნი, კმაყოფილნი.

ხოლო როგორ შეუძლია ცოდვებით დატვირთულ კაცს მოიპოვოს ცხოვნება, ე. ი. კავშირი ღმერთთანა და ნეტარება? თავდაპირველად კაცმა თვისი ყურადღება, თვისი გონება უნდა მიაპყრას ღვთისადმი, მუდამ მასზე უნდა ფიქრობდეს, მარადის მისს მოქმედებას იგონებდეს. მაგრამ, ღმერთი ხომ უხილავი არსებაა, იმისი შინაარსისა და ცხოვრების გაგება-წარმოდგენა შეუძლებელია, და მაშასადამე ხორც-შესხმულ ადამიანმა როგორ უნდა მიაპყრას თვისი გონება უფლისადმი და შეიყვაროს იგი? აი აქ კაცს ყოვლად მოწყალე ღმერთმა დახმარება აღმოუჩინა. მეორე პირი ღვთაებისა, ძე ღმერთი, განხორციელდა, განკაცდა, ცხოვრებდა კაცთა შორის, ქადაგებდა. ძე ღვთის ქვეყნად მოსვლით ცხად-ყოფილ იქმნა ღვთაება; იესო ქრისტესით ადამიანს მიეცა ხილული სახე ღვთისა და ამით მიენიჭა საშუალება წარმოიდგინოს ღმერთი და შეუერთდეს მას. ამის გამო, თუ ვისმეს სურს დაუკავშირდეს ღმერთს, მან უსათუოდ თვალწინ უნდა დაიყენოს სახე მაცხოვრისა იესო ქრისტესი. ასე, პირდაპირი, უმაშვალობითი დამოკიდებულება ღმერთთანა კაცისთვის შეუძლებელია; კაცი ჯერ მაცხოვარს უნდა შეუერთდეს და ამით ღმერთსაც მიუახლოვდება, რადგან იესო ქრისტე იგივე ღმერთია. მიტომაც ბრძანა იესო ქრისტემ თავის თავზე: მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება... და ვერვის ძალუძს მისვლა მამასთან (ღმერთთან), თუ არა ჩემ მიერ. წარმოდგენა იესო ქრისტესი და მასთან ღვთაებისა სრულ იყოფის ლოცვაში. ლოცვა არის გულითადი საუბარი კაცისა ღმერთთანა. ვინც ხშირად წარმოიდგენს უფალს იესო ქრისტეს, ვინც ნათლად ცოცხლად დაისურათხატებს თვალწინ მისს ნათელმოსილ ცხოვრებას, ის იმით დამტკიცებს, რომ მას მართლა უყვარს ღმერთი და სურს მასთან დაკავშირება. სიყვარული მაცხოვრისადმი და აქედან ღვთისადმი არ უნდა განისაზღვრებოდეს მარტო მოგონებითა და ლოცვითა; ამასთან ერთად აუცილებლად საჭიროა მნებელობითი მოქმედება, ასრუ-

ლება იმისა, რასაც ითხოვს ზნეობრივი კანონი, რაც ნაბრძანებია ღვთის მიერ. ხოლო ღმერთი იმას გვიბრძანებს, რომ ზნეობრივად გავსწორდეთ, გაუფუჯობესდეთ, შევისისხლხორცოთ სახარებისებრივნი სათნოებანი. თავდაპირველად კაცმა უნდა იცნოს თვისი თავი, უნდა ჩაიხედოს თვის სულის სიღრმეში, პირუთვნელად გამოიძიოს და შეიტყოს, თუ რა ცუდი თვისებები აქვს მას; თვისი ბიწიერი მიდრეკილებები მას მუდმივ თვალწინ უნდა ქონდეს დაყენებული და ყოველთვის, როცა კი ისინი თავს იჩენენ, მოითხოვენ დაკმაყოფილებას, უნდა შეებძოლოს მათ და უკუაქციოს ისინი თუ მან გამუდმებითი ბრძოლა იქონია იმათთან, მაშინ ისინი შესუსტდებიან და ბოლოს აღმოიფხვრებიან. ბრძოლა ცოდვით სურვილებთან ძლიერ ძნელია, ამისთვის დიდი მოთმინება, ენერგია და გამჭრიახობაა საჭირო. კაცი ამ ბრძოლაში ბევრჯერ დამარცხდება, ბევრს მწუხარებას გამოივლის, გარნა იმედი არ უნდა დაკარგოს და არ უნდა აიღოს ხელი მასზე, —ბრძოლაზე. თვით გასწორება, ბრძოლა ცოდვით სურვილებთან ძლიერ ძნელია ვაჟკაცობაში; იგი უფრო ადვილია ყმაწვილობაში, როცა სულიერნი ძალნი ჯერეთ არ არიან გამტკიცებულნი ბოროტებაში და მაშასადამე მათი მიდრეკა კეთილისადმი ადვილია. ამიტომ ადამიანმა თვისის თავის გასწორება სიყმაწვილეშივე უნდა დაიწყოს. თვის ბოროტ მიდრეკილებების მოსპობასთან ერთად კაცმა უნდა განავითაროს, განაძლიეროს ის კეთილი თვისებები, რომლებიც მას თანდაყოლილი აქვს, და კიდევ უნდა შეიძინოს ის ღირსებები, რომლებიც მას არ აქვს, მაგრამ რომლების შეძენასაც ითხოვს მაცხოვრის სწავლა, განსაკუთრებით მან უნდა აღანთოს თვის გულში სიყვარული მოყვასთადმი, რადგან იგი არის დედა ყოველთა სათნოებათა, ნიშანი და ძალა ქრისტიანობისა. როცა კაცი თვით-გასწორების და თვით სრულყოფის საქმეს შეუდგება, მაშინ მას ღმერთი მოანიჭებს თვისს მადლს, და ის აღივსება ზეციურის სიტკბოებითა და კმაყოფილებითა. ამ ღვთაებრივის ძალით განმხნევებული და წაქეზებული კაცი უფრო და უფრო მედგრად ეომება თვისს ცოდვითს მოთხოვნილებებს და უფრო მომეტებულ ძალას გამოიჩენს კეთილ-მოქმედებაში, თუ განაგრძო კაცმა ცხოვრება ღვთისნებისამებრ, მაშინ მას უკვე მინიჭებული მადლი უფრო გაუცხოველდება, გაუღვივდება და გარემოიცვება ღრმა, შეუწყვეტელის სიხარულითა. ამგვარად, კაცი, მომქმედი სინდისისა და სახარებისამებრ, სულიერად მაღლდება, სპეტაკდება, უერთდება უფალსა და ამით იწყებს ნამდვილს, წესიერს, საღს ცხოვრებას, ე. ი. ისეთ ცხოვრებას, რომელიც მისთვის დადებულია, ნაჩვენებია ღვთისგან; და იმის არსებაში მყარდება მშვიდობა და სიხარული, იგი ხდება უვნებელი სოფლიურ მწუხარებათაგან, იმის კმაყოფილება დაურღვეველია.

კაკ. ბახიძე.

(შემდეგი იქნება)

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ: ბლაღოჩინების პირველი კრება ქ ქუთაისში, 6 მარტს 1902 წ.—შემოდგომის თაფლობა. რაფიელ ჩიხლაძე.—ᲒᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ მარხვა (ლექსი). რ. საჯაოხელი. — ᲟᲣᲠᲜᲐᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲜ. — ახალი ამბები და შენიშვნები.

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ: სიტყვა, თქმული კვირიაკესა ხარცთა აღებისასა. მდ. მარკოზ ტყემალაძის მიერ.—მართლმადიდებლობით—ქრისტიანებრივის საეკლესიო საზოგადოებითის ღვთის-მსახურების განმარტება. კაკ. ბახიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 марта *1902 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Елiевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.